

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

10 სექტემბერი 2008 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №75

სხდომის დაწყების დრო: 19:00სთ.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:

გოჩა სვანიძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), როინ მიგრიაული,
დავით ლანჩავა, ზვიად კორძაძე, დავით ასათიანი, ზაზა ხატიაშვილი

სხდომის თავმჯდომარე: გოჩა სვანიძე

დღის წესრიგი:

1. საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ;
2. ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესის შესახებ.

სხდომა გახსნა თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა სვანიძემ დღის წესრიგის პირველი საკითხით:

სხდომაში მონაწილე:

გოჩა სვანიძე – ვფიქრობ, რომ არსებულ საშტატო განრიგში უნდა მოხდეს ცვლილებები. კერძოდ, აღმასრულებელ საბჭოს დაემატოს კიდევ ერთი კოორდინატორი. ოფის-მენეჯერის თანამდებობაზე დაინიშნოს ახალი თანამშრომელი. ეთიკის კომისიის კოორდინატორის ხელფასი უნდა გაუთანაბრდეს მეორე კოორდინატორის ხელფასს. აღმასრულებელი საბჭოს ახალი კოორდინატორის ხელფასი უნდა გაუთანაბრდეს ძველი კოორდინატორის ხელფასს. სტილისტს დაერქვას ტექსტური რედაქტორი.

ზვიად კორძაძე – ვინაიდან, ჩვენს მიერ დამტკიცებულ საშტატო განრიგში მომხდარია ძირეული ცვლილებები და აქამდე არ მომხდარა საშტატო განრიგში

ცვლილებების დამტკიცება, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ახალი საშტატო განრიგი, რამელიც ასახავს ასოციაციის თანამშრომელთა სტრუქტურას დღეის მდგომარეობით.

დავით ლანჩავა – ვთვლი, რომ ერთ განყოფილებაში მომუშავე კოორდინატორების ხელფასი უნდა იყოს თანაბარი ოდენობის და აქვე ავლნიშნავ, რომ აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორების ხელფასი უნდა აღემატებოდეს ეთიკის კომისიის კოორდინატორების ხელფასს აღმასრულებელი საბჭოს ფუნქციების სიმრავლიდან გამომდინარე.

ზემოთაღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი საბჭოს წევრების მხრიდან არ გამოთქმულა.

აღმასრულებელმა საბჭომ გადაწყვიტა:

სხდომაზე წარმოდგენილი საშტატო განრიგის დამტკიცება.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით

აღმასრულებელი საბჭოს წევრს როინ მიგრიაულს დაევალა ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესში ცვლილებების პროექტის საბჭოს წევრებთან გაგზავნის უზრუნველყოფა.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ და ხელს აწერენ:

გონა სვანიძე
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

როინ მიგრიაული

დავით ლანჩავა

ზვიად კორძაძე

დავით ასათიანი

ზაზა ხატიაშვილი

